

# საერთაშორისო საგაჭრო არბიტრაჟზე ევროპული შეთანხმების გამოყენებასთან დაკავშირებული შეთანხმება

პარიზი, 1962 წლის 17 დეკემბერი

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ხელმოქმედი მთავრობები,

ითვალისწინებენ, რომ ევროპული შეთანხმება საერთაშორისო საგაჭრო არბიტრაჟზე ხელმოსაწერად გაიხსნა 1961 წლის 21 აპრილს;

ითვალისწინებენ იმასაც, რომ კონვენციის მეოთხე მუხლში გათვალისწინებული არბიტრაჟის ორგანიზებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ზომები, არ უნდა იქნან რეკომენდირებულნი ვარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავა წარმოქმნილია, იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის, რომლებსაც ერთის მხრივ გააჩნიათ საცხოვრებელი რეზიდენცია ან ადგილსამყოფელი იმ ხელშეკრულ მხარეში, სადაც კონვენციის დანამატის დებულებათა შესაბამისად, არსებობს საერთაშორისო საგაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი და მეორეს მხრივ, იმ სახელმწიფოებში სადაც ასეთი კომიტეტები არ არსებობენ.

ითვალისწინებენ, რომ ხსენებული კონვენციის მეათე მუხლის მეშვიდე პუნქტის თანახმად, კონვენციის დებულებანი არ შეზღუდავს მონაწილე სახელმწიფოთა შორის არბიტრაჟთან დაკავშირებით დადებული მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმებების მოქმედებას;

ევროპის საბჭოში დღეს უკვე მომზადებული არბიტრაჟზე საერთო კანონთან დაკავშირებული კონვენციის შემოსვლის ხელყოფის გარეშე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1

იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებში, რომელთა საცხოვრებელი რეზიდენცია ან ადგილსამყოფელი განლაგებულია წინამდებარე შეთანხმების წევრ მხარეში, 1961 წლის 21 აპრილს, ჟენევაში ხელმოსაწერად გახსნილი საერთაშორისო საგაჭრო არბიტრაჟის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის მე-2-დან მე-7 პუნქტამდე შეცვლილია შემდეგი დებულებით:

„თუ საარბიტრაჟო შეთანხმება არ მოიცავს დებულებას იმ ზომებზე მათ ერთობლიობაში ან ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც მოხსენიებულია საერთაშორისო საგაჭრო არბიტრაჟზე ევროპული კონვენციის მეოთხე მუხლის პირველ პუნქტში, ნებისმიერი წარმოქმნილი სირთულეები საარბიტრაჟო ტრიბუნალის შედგენასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, პროცედურების წამომწყები მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად უნდა გადაეცეს კომპეტენტურ ორგანოს“.

## **მუხლი 2**

1. წინამდებარე შეთანხმება ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიკაციისა და მიღების შესახებ ინსტრუმენტები დებონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. მეოთხე მუხლის დებულებათა შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმება ზალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ მეორე ინსტრუმენტის დებონირებიდან 30 დღის შემდეგ.

3. მეოთხე მუხლის დებულებათა შესაბამისად, იმ ნებისმიერი ხელმოწერი მთავრობისათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს მის რატიფიკაციას ან მიღებას, შეთანხმება ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტრუმენტის დებონირებიდან თარიღიდან 30 დღის შემდეგ.

## **მუხლი 3**

1. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი და რომელშიც არსებობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი.

2. მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დებონირებით, რომელიც ძალაში შევა, მეოთხე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, დებონირების თარიღიდან 30 დღის შემდეგ.

## **მუხლი 4**

მეორე და მესამე მუხლების დებულებათა შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლა რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შემდეგ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, იქნება პირობითი და დამოკიდებული ამ სახელმწიფოსთვის საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟზე ევროპული კონვენციის ძალაში შესვლაზე.

## **მუხლი 5**

ნებისმიერ ხელშეკვრელ მხარეს, რამდენადაც ეს მას ენება, შეუძლია წინამდებარე შეთანხმების დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინებით. დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

## **მუხლი 6**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და წინამდებარე შეთანხმებასთან მიერთებულ სახელმწიფოთა მთავრობებს:

- ა) ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;
- ბ) რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დებონირების თაობაზე;
- გ) ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- დ) მესუთე მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილი, ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია პარიზში, 1962 წლის დეკემბრის 17-18 დღეს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია და თითო ეგზემპლარად შეინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმოწერს და მიერთებულ მთავრობას.